დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დადგენილება #23, 19/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

თბილისი

2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს:

ა) შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის აფილირების წესს;

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი, აკადემიური, ადმინისტრაციული საქმიანობის სახეებს, სრულ/არასრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის მინიმალურ საუნივერსიტეტო დატვირთვას;

2. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი შედგება აფილირებული პროფესორებისგან, აფილირებული ასოცირებული პროფესორებისგან, აფილირებული ასისტენტ-პროფესორებისგან და ასისტენტებისგან;

3. აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები, მათი საათობრივი დატვირთვა და შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის სხვა პირობები განისაზღვრება აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) აკადემიური პერსონალი - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის წესით შერჩეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი, რომელიც აფილირებულია/არ არის აფილირებული უნივერსიტეტთან, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია სრულ/არასრულ განაკვეთზე და მონაწილეობს/წარმართავს კვლევით, აკადემიურ, საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ პროცესს;

ბ) აკადემიური საქმიანობა - უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა სწავლების პროცესში;

გ) პროფესორი - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებითსაქმიანობს;

დ) ასოცირებული პროფესორი - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობს;

ე) ასისტენტ-პროფესორი - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით პროცესში;

ვ) ასისტენტი - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში;

ზ) აფილირება - უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უნივერსიტეტთან;

თ) კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობა - ფუნდამენტური, გამოყენებითი და პედაგოგიური კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის შესრულება;

ი) ადმინისტრაციული საქმიანობა - უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა სწავლების პროცესში კონსულტირების/ადმინისტრირების გზით.

მუხლი 3. აფილირების პირობები

1. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებული პირი აფილირების შეთანხმების დადებით ადასტურებს უნივერსიტეტთან აფილირებას;
2. აფილირება არის ნებაყოფილობითი; უნივერსიტეტში აფილირებული პერსონალი შეიძლება იყოს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც აფილირების შეთანხმებით დაადასტურებს აფილირების სურვილს, ეთანხმება და ასრულებს ქვემოთ მითითებულ პირობებს:

ა) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარების, ცოდნის მიწოდებისა და გაზიარების პროცესებში;

ბ) უნივერსიტეტის სახელით ახორციელებს საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობას, რომლის კვლევის შედეგები წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას;

გ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში;

3. უნივერსიტეტში არ შეიძლება პირის აფილირება, თუ იგი აფილირებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 4. აფილირებული აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები

1. აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმების თაობაზე, სკოლის დეკანი შუამდგომლობით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს;
2. აფილირებული აკადემიური პერსონალი მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე:
ა) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;
ბ) დაკავებული აკადემიური თანამდებობის მიხედვით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს სადაც ის არის იფილირებული;
გ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში;
დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში;
3. აფილირების შეთანხმების ვადა განისაზღვრება შესაბამისი აკადემიური პერსონალის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადით;
4. აფილირების შეთანხმების ვადის გაგრძელება შესაძლებელია აკადემიურ თანამდებობაზე ხელახლა არჩევის შემთხვევაში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და შესაბამისი აკადემიური პერსონალის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად;
5. აფილირებული პერსონალის საქმიანობა ხორციელდება შემდეგი სამი მიმართულებით: კვლევითი, სასწავლო, ადმინისტრაციული.

მუხლი 5. შავი ზღვის საერთაშორისოუნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის და ფინანსური ანაზღაურების მოდელი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის და ფინანსური ანაზღაურების მოდელი გულისხმობს ყოველთვიურ ფიქსირებულ ანაზღაურებას, მხოლოდ

იმ აფილირებულ პერსონალზე, ვინც ჩართულია კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობაში და ვინც შესაბამის აკადემიურ წელს უთანხმდება უნივერსიტეტს კვლევითი ნაშრომის განხორციელებაზე, რაც გათვალისწინებული იქნება შრომით ხელშეკრულებაში და შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ გადასახდელ ყოველთვიურ ფიქსირებულ ანაზღაურებაში.

2. შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კვლევითი ნაშრომის გარდა სხვა დამეტებითი კვლევითი ნაშრომის განხორციელების შემთხვდევაში მისი ანაზღაურების წესი განისაზღვრება „აკადემიური საქმიანობის წახალისების“ დებულებით.

3. ფინანსური ანაზღაურების მოდელის მიხედვით არსებობს სამუშაო განაკვეთის ორი კატეგორია: სრული და არასრული. თითოეულ კატეგორიაში განსაზღვრულია სამი პოზიცია: აფილირებული პროგრამის ხელმძღვანელი, აფირირებული პროგრამის თანახელმძღვანელი, აფილირებული მკვლევარი/კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

4. ფინანსური მოდელი მოიცავს წლიური აქტივობების რაოდენობის და განფასების მიხედვით, წლიური თანხის განსაზღვრას და ამასთანავე აფილირების ვადის მიხედვით, აკადემიური წოდების (ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი) გათვალისწინებით უნივერსიტეტთან წლიური ფიქსირებული თანხის გარდა ყოველთვიურ სახელფასო დანამატის დადგენას. ყოველთვიური დანამატი იზრდება აკადემიური წოდების ცვლილებასთან ერთად. გარდა ამისა, ყოველთვიური დანამატი ასევე იზრდება, აფილირების მესამე და მეხუთე წელს. აქტივობების განფასება განსხვავებულია კვლევითი ნაშრომების დონის მიხედვით. კვლევითი ნაშრომის დონის განსაზღვრა ხდება იმ ჟურნალის ინდექსაციის, საერთაშორისო რანჟირების/რეიტინგის მიხედვით, სადაც ქვეყნდება აღნიშნული ნაშრომი.

5. წლიური მინიმალური და მაქსიმალური აქტივობების რაოდენობა განსხვავებულია სრული და არასრული სამუშაო განაკვეთის შესაბამისად:

5.1. სრული განაკვეთის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილი აქტოვობები:

5.1.1. აფილირებული პერსონალი შეიძლება იყოს არაუმეტეს სამი პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძრვანელი/კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

5.1.2 წლიური ანაზღაურების ფარგლებში უნდა ახორციელებდეს არანაკლებ ერთ და არაუმეტეს 2 კვლევით ნაშრომს; დამატებითი კვლევითი ნაშრომის შემთხვევაში მისი ანაზღაურება განხორციელდება „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულების“ შესაბამისად;

5.1.3. წლიური ანაზღაურების ფარგლებშიაფილირებული პერსონალი წლიურადსაგანმანათლებლო საქმიანობას უნდა ახორციელებდეს 6 ჯგუფში, მიუხედავად საგანმანათლებლო საფეხურისა (საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო);

5.2. არასრული განაკვეთის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები:

5.2.1აფილირებული პერსონალი შეიძლება იყოს არაუმეტეს სამი პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძრვანელი/კვლევითი ცენტრი ხელმძღვანელი;
5.2.2 წლიური ანაზღაურების ფარგლებში უნდა ახორციელებდეს ერთ კვლევით ნაშრომს; დამატებითი კვლევითი ნაშრომის შემთხვევაში მისი ანაზღაურება განხორციელდება „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულების“ შესაბამისად;
5.2.3.წლიური ანაზღაურების ფარგლებში აფილირებული პერსონალი წლიურად საგანმანათლებლო საქმიანობას უნდა ახორციელებდეს არანაკლებ სამ და არაუმეტეს ოთხ ჯგუფში, მიუხედავად საგანმანათლებლო საფეხურისა (საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო);
6. იმ შემთხვევაში, თუ აფილირებულმა პერსონალმა განახორციელა დამატებით აქტივობა, რაც არ იყო გათვალისწინებული ფიქსირებული ხელფასის ფარგლებში, აღნიშნული აქტივობა ანაზღაურდება „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულების“ შესაბამისად;
7. იმ აფილირებული პერსონალის რომელიც არ მოიაზრება წინამდებარე მუხლის პურველ პუნქტში და შესაბაამისად არ ღებულობს ყოველთვიურ ფიქსირებულ ანახზღაურებას, შრომითი ანაზღაურება განხორციელდება იმავე წელს შესრულებული აქტივობების შესაბამისად;
8. აფილირებული პერსონალის შრომით ხელშეკრულებაში განისაზღვრება ის სავალდებულო საქმიანობა, რაც დაკავშირებულია სკოლის/უნივერსიტეტის ფუნქციონირება/განვითარებასთან;
9. ზემოთ მოყვანილი სავალდებულო დატვირთვის ნიშნულებისგან განსხვავებული ნიშნული შეიძლება დადგინდესუნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 6. აქტოვიბების შესრულების მონიტორინგი

1. შესაბამისი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 31 ივლისისა, განხორციელდება აფილირებული პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტოვობების შესრულების მონიტორინგი, შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მიერ: კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობის მონიტორინგს განახორციელებს კვლევის ხელშეწყობისა და პროექტების მართვის სამსახური, და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო მიმართულებით - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური, ადმინისტრაციული მიმართულებით - შესაბამისი სკოლა;
2. უნივერსიტეტთან შეთანხმებით შეუსრულებელი ვალდებულების გადატანა შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ სასწავლო წელს, მოხდეს სხვა აქტივობით ჩანაცვლება ან განხორციელდეს სახელფასო ანაზღაურებიდან დაქვითვა/უკან დაბრუნება.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნული წესი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მის დამტკიცებისთანავე.
2. აღნიშნული წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესით.